



Member of Nexia International

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „სმარტ ინვესტის“ დამფუძნებლებს:

ამავე კომპანიის დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე:

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

24 სექტემბერი 2018

თბილისი, საქართველო



Closer to you



2017 წელი

მმართველობის ანგარიშგება

შპს მისო „სმარტ ინვესტი“

შესავალი.....	3
სამეთვალყურეო საბჭოს მიმართვა.....	3
დირექტორის მიმართვა.....	4
სმარტ ინვესტის მისია	6
მიკროსაფინანსო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა.....	6
საკანონმდებლო ცვლილებები.....	8
კომპანიის საქმიანი ურთიერთობები	9
საპროცენტო განაკვეთი	9
საქართველოს ბიზნეს გარემო.....	10
მისოს სტრუქტურა.....	10
შემოსავლის ძირითადი წყარო.....	11
რისკების მართვა.....	11
საბაზრო რისკი.....	11
საპროცენტო განაკვეთის რისკი.....	12
საკრედიტო რისკი	12
ლიკვიდურობის რისკი.....	13
კონკურენციის რისკი	13
AML რისკი.....	14
საგადასახადო რისკები.....	15
ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი	15
აქტივები.....	15
აქტივების ხარისხი.....	16
ვალდებულებები	17
ლიკვიდობა.....	20
კაპიტალი	20
დასკვნა.....	21

შესავალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“ წარმოადგენს საფინანსო კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაც დაკავშირებულია ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტებასა და ინვესტიციების მოზიდვასთან.

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2016 წლის მარტში, ხოლო აპრილში მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კომპანიის დაფარვის ზონაში მყოფი მცირე და საშუალო შემოსავლიანი ფიზიკური პირებისა და ბიზნესის დაკრედიტება, რომელიც შემოიფარგლება ქალაქ თბილისით და მისი მიმდებარე რეგიონებით.

ჩვენი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტი გამჭვირვალობაა. პოტენციურ მსესხებლებს მიეწოდებათ უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაცია მათთვის გასაგები ტერმინოლოგიით კომპანიაში არსებულ პროდუქტებზე.

პოტენციური ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომია ყოველწლიური აუდირებული ანგარიშგება რომლის გამოქვეყნებაც ხდება კომპანიის ვებ გვერდზე, ხოლო არსებული ინვესტორებისთვის ყოველწლიურ ანგარიშგებასთან ერთად ასევე ხელმისაწვდომია კვარტალური ანგარიშგება.

სამეთვალყურეო საბჭოს მიმართვა

საფინანსო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან და მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სეგმენტი საკმაოდ მზარდი სფეროა საფინანსო ბაზარზე, აქედან გამომდინარე ბაზარზე კონკურენცია მაღალია, ხოლო პირობები და საპროცენტო განაკვეთები ბაზარზე პრაქტიკულად იდენტურია.

კომპანიის პროდუქტები შექმნილია ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მსესხებელთა და ინვესტორთა მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება.

შესაბამისად კომპანია მუდმივად ახდენს ბაზრის კვლევას, პროდუქტების მოდერნიზაციას და დახვეწას, რაც განაპირობებს ჩვენი პროდუქტების კონკურენტუნარიანობას ბაზარზე.

ჩვენი მისია ფიზიკური პირების, მიკრო და მცირე მეწარმეების სტაბილური განვითარების მხარდაჭერაა, კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, ოპტიმიზირებული და მასზე მორგებული დაფინანსების შეთავაზების გზით.

მიუხედავად ფინანსურად არასტაბილური 2017 წლისა, რაც გამოიხატა ეროვნული ვალუტის მკვეთრი რყევებით, „სმარტ ინვესტის“ აქტივების ხარისხი არ გუარესებულა. უკლებლივ ყველა საკრედიტო პროდუქტზე შენარჩუნებულ იქნა გადახდების მაღალი მაჩვენებელი, რაც თავის მხრივ მიღწეული იყო სწორი საკრედიტო პოლიტიკით, კერძოდ კლიენტების შემოსავლების და აქტივების სწორად შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების მკაცრი კონტროლით.

კომპანიამ გასულ 2017 წელს შემლო მნიშვნელოვნად დაეხვეწა ხარისხი როგორც მომსახურების, ასევე ფინანსური მაჩვენებლების კუთხით.

„სმარტ ინვესტის“ არსებული ფინანსური შედეგები და საკრედიტო პოლიტიკა იძლევა მყარ საფუძველს იმისა, რომ არანაკლებ წარმატებულად განხორციელდეს კომპანიის განვითარების სამომავლო გეგმები, იმისათვის რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ აღნიშნული მაჩვენებლები მიკროსაფინანსო ბიზნესისთვის თანმდევი რისკების მინიმიზაციის გათვალისწინებით. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს „სმარტ ინვესტის“ ადგილს მიკროსაფინანსო ბაზარზე.

დირექტორის მიმართვა

კომპანიის დაარსება მოხდა საქართველოს საფინანსო ბაზარზე ისეთ რთულ პირობებში, როგორიცაა ზრდის მაღალი ტემპით გამოწვეული მომხმარებლების ჭარბვალიანობა, სასესხო ხელშეკრულების გამჭვირვალობის პრობლემები, სესხის ამოღების აგრესიული პრაქტიკა, მარეგულირებლის მკაცრი რეფორმები (ან შეზღუდვები), ინვესტიციების მოზიდვის არასტაბილური ფინანსური გარემო, თუმცა კომპანიამ მოახერხა და განავითარა თავისი ბიზნეს საქმიანობა მომხმარებლებთან ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმებით, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე. საწყის ეტაპზე ჩვენი მომხმარებლები გახდნენ დაბალი შემოსავლების მქონე მეწარმეები და ფიზიკური პირები, რომლებმაც საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივების უქონლობის გამო არ ჰქონდათ წვდომა საბანკო მომსახურებაზე, გაიცემოდა მცირე ზომის სესხები უზრუნველყოფის გარეშე სოლიდარული თავდებობით.

კომპანიის პოლიტიკა არის თავდებობით და ქონებით უზრუნველყოფილი სესხების თანაფარდობის წილის შენარჩუნება, როგორც 30% 70%-თან.

2017 წელი წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი კომპანიისთვის. მიუხედავად ორგანიზაციის ახალგაზრდული ასაკისა, ჩვენ შევძელით საკუთარი ადგილი

დაგვეკავებინა მიკროსაფინანსო ბაზარზე და საფუძველი ჩავვეყარა გრძელვადიანი განვითარებისთვის, ამის დასტურია პორტფელის 34 %-იანი ზრდა.

წარმატება პირველ რიგში განპირობებული იყო სწორი საკრედიტო პოლიტიკა-პროცედურების ჩამოყალიბებითა და წარმართვით, მოტივირებული კადრებით, ასევე ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საკრედიტო პროდუქტების შემუშავებითა და დანერგვით, რომელიც ადექვატურად პასუხობს ჩვენი კლიენტების მოთხოვნებს და ხელს უწყობს ორმხირვ მომგებიანი გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

გაგაცნობთ 2017 წლის ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს.

<i>ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (რიცხვები მოცემულია ათას ლარში)</i>	
საპროცენტო შემოსავალი	208
საპროცენტო ხარჯი	88
მოგება დაბეგვრამდე	35
მთლიანი აქტივები	1345
მთლიანი სესხები	692
წმინდა მოგება	31
ლიკვიდურობის კოეფიციენტები	
მთლიანი აქტივები/მთლიან ვალდებულებები	1.35
სესხები(დაბანდებები)-წმინდა/მთლიანი აქტივები (NLTA)	85%
გადახდის უნარიანობის კოეფიციენტები	
მთლიანი ვალდებულებები/მთლიან აქტივებზე (Debt / Asset Ratio)	74%
მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები (Equity / Asset Ratio)	26%
მთლიანი ვალდებულებები/მთლიანი კაპიტალი (Debt / Equity Ratio)	286%
მომგებიანობის ანალიზი	
Return On Equity (ROE)	11.15%
Return On Assets (ROA)	2.60%

სმარტ ინვესტის მისია

შპს მისო „სმარტ ინვესტი“-ს მისიაა ადამიანებისათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შეთავაზება, რომელიც მათ დაეხმარება შექმნან სამუშაო ადგილები, ჰქონდეთ შემოსავლის წყარო და გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, მოახდინონ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და ფინანსების განათლებაში ინვესტირება.

ჩვენ ვთავაზობთ თავდებობით და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს:


- საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეთა იმ სეგმენტს, რომელსაც კვალიფიციურ ფინანსურ მომსახურებაზე პოტენციურად შეზღუდული აქვს წვდომა ან მანამდეც არ ჰქონდას ამის საშუალება სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე;
- მეწარმეებს, გაიუმჯობესონ საკუთარი და თავიანთი ოჯახების საცხოვრებელი პირობები;

100 000-ზე მეტი ადამიანის საარსებო წყაროა სწორედ ის ბიზნესი, რომლის დაფინანსებაც წარმოადგენს შპს მისო „სმარტ ინვესტი“-ის პრიორიტეტს.


მიკროსაფინანსო ბაზრის ზოგადი მიმოხილვა

ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი ძირითადად წარმოადგენილია სამი მიმართულებით:

1. ვაჭრობა და მომსახურება - 249 მლნ ლარი (პორტფელის 22 %)
2. სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა - 118 მლნ ლარი (პორტფელის 11 %);
3. სამომხმარებლო სესხები - 650 მლნ ლარი (პორტფელის 58 %).




2017 წელს წმინდა სესხების ზრდის ტემპი (ერთჯერადი ეფექტის გარეშე) 14 პროცენტი იყო და მისი მოცულობა 1.04 მილიარდი ლარით განისაზღვრა. წმინდა სესხების მთლიან აქტივებთან თანაფარდობის წილობრივი მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა და აქტივების 70.5 პროცენტი შეადგინა.



საყურადღებოა, რომ 2017 წლის შედეგებით, არსებითად არის შემცირებული სექტორის მომგებიანობის პარამეტრები ($ROE=9.5$ პროცენტი, $ROA=2.5$ პროცენტი). მაჩვენებლების კლება ძირითადად „ონლაინ“ სესხების გამცემი მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზარალიან ფუნქციონირებას და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებულ სოლიდურ ზარალს უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, 2016 წლის მაჩვენებლებისგან განსხვავებით, მიკროსაფინანსო სექტორის მოკლე ღია სავალუტო პოზიციის ზრდით არის განპირობებული, რაც უცხოური ვალუტით დაფინანსების პირობებში აქტივების ლარიზაციის ზრდას უკავშირდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის განმავლობაში 25-დან 19 პროცენტამდე შემცირდა სექტორის წმინდა საპროცენტო მარჟის მაჩვენებელიც, რამაც ასევე ნეგატიური გავლენა იქონია სექტორის მომგებიანობაზე.

ვალდებულებების სტრუქტურა გასული წლების მაჩვენებლების მსგავსად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების დაფინანსების მთავარ წყაროს (საშუალოდ 67 პროცენტი) ნასესხები სახსრები წარმოადგენს. 2017 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალდებულებების სტრუქტურა. კერძოდ, 2016 წელთან შედარებით, ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრების წილი მთლიან ვალდებულებებში 53-დან 36 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობამ 4 633-დან 2 202-მდე იკლო. აღნიშნული მნიშვნელოვან წილად უკავშირდება 2017 წლის 15 იანვარს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც მეწარმეს (მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციას), ან

ურთიერთდაკავშირებულ მეწარმეთა ჯგუფს, აეკრძალა 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა ნებისმიერი ფორმით იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ფიზიკური პირისაგან მოზიდული თანხის ოდენობა 100 ათას ლარზე ნაკლებია. 2017 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო ფიზიკურ პირზე 100 000 ლარამდე სესხის უცხოური ვალუტით გაცემის შეზღუდვა. აღნიშნულის შედეგად, წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად (54-დან 27 პროცენტამდე) შემცირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი.



საკანონმდებლო ცვლილებები

სებ-მა 2017 წელი ფინანსური განათლების წლად გამოაცხადა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კუთხით. 2017 წლის 23 დეკემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ეროვნულ ბანკს არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობაზე სრული ზედამხედველობის უფლებამოსილება მიეცა. ცვლილების შედეგად გამკაცრდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სარეგისტრაციო მოთხოვნები, დაწესდა სარეგისტრაციო მოსაკრებელი, გაიზარდა მოთხოვნა სააქციო კაპიტალზე და ა.შ. გაფართოვდა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებები მომხმარებელისთვის ინფორმაციის მიწოდების

კუთხით, მათ შორის დავალიანების წარმოშობისა და რეკლამირების დროს. სავალდებულო გახდა სესხების ამოღების ეთიკის კოდექსის შემუშავება. გარდა ამ შეზღუდვების დაწესებისა, გააქტიურდა მუშაობა ზემოხსენებული მოთხოვნების შერულების მონიტორინგზე.

კომპანიის საქმიანი ურთიერთობები

1. 2016 წლის 1 სექტემბრიდან გაფორმდა ხელშეკრულება კრედიტ ინფო საქართველოსთან მონაცემთა ბაზების გაცვლაზე;
2. 2016 წლის 16 დეკემბერს დაიდო ხელშეკრულება შპს „დოლფინ სოფტვეა“- სთან და დაინერგა თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა „Loan Keeper“;
3. 2017 წლის 21 მარტს დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირებზე არსებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ, რომელიც კლიენტის იდენტიფიცირებისა და მისი ვინაობის გადასამოწმებელ სანდო საშუალებას წარმოადგენს.
4. 2017 წლის 03 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება მსოფლიო ათეულში შემავალ საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია Nexia-თან აუდიტორულ და საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე.
5. 2017 წლის 12 ივლისს შიდა კონტროლის სისტემის "უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების მისაღებად, ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. "შესაბამისობის განვითარების ცენტრთან". (ამჟამად შ.პ.ს. "სი დი სი სოლუშენს").
6. დაიდო ხელშეკრულებები უძრავი ქონების შემფასებელ ფიზიკურ პირებთან;

საპროცენტო განაკვეთი

სესხის გაცემის პროცესი საპროცენტო და საოპერაციო დანახარჯებთან არის დაკავშირებული და თუნდაც მცირე ზომის სესხის ადმინისტრირება საკმაოდ შრომატევადი საქმეა. ეს პროცესი მოიცავს კლიენტისა და მისი ბიზნესის სიღრმისეულ შესწავლას, რაც მოითხოვს საკრედიტო ექსპერტის მაღალ კომპეტენციას, რომელმაც უნდა შეისწავლოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა და ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოახდინოს დაკრედიტება. აქედან გამომდინარე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთი შესამჩნევად მაღალია


საფინანსო ბაზარზე კომერციულ ბანკებთან შედარებით. საპროცენტო განაკვეთებში განსხვავების მნიშვნელოვან მიზეზს ასევე ფინანსური რესურსების ღირებულება წარმოადგენს. კომერციულ ბანკებს ხელი მიუწვდებათ ეკონომიკაში ყველაზე იაფ საკრედიტო რესურსზე, მაშინ როცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ნაწილობრივ თავად ფინანსდებიან კომერციული ბანკებიდან.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ საკითხებთან ერთად, გამოწვევებს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებისთვის.

კომპანია მუშაობს მოგებაზე და მიგვაჩნია, რომ გააგრძელებს მოგებაზე მუშაობას. წინა წელთან შედარებით კომპანიის საოპერაციო საქმიანობა გაუმჯობესებულია და არსებული ინფორმაციით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას შეეცმნება ფუნქციონირების საფრთხე.

მისოს სტრუქტურა



კომპანიის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო:

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ქართლოს ღვინიაშვილი (წილი კომპანიაში 50%)
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: ლევან შარვაძე (წილი კომპანიაში 25%)
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი: ნათელა ასლამაზიშვილი (წილი კომპანიაში 25%)

კომპანიის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი ირაკლი კონჯარია, რომელის დანიშვნასა და საქმიანობის კონტროლზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო.

შემოსავლის ძირითადი წყარო

სმარტ ინვესტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს გაცემული სესხებიდან. მიღებული საკომისიოები და საპროცენტო სარგებელი.

რისკების მართვა

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი ამოცანაა საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მისოს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურაზე, აგრეთვე ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობასა და არსებითი გავლენის მქონე რისკების იდენტიფიცირებასა და გამოვლენაზე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია კომპანიაზე საბაზრო რისკების გავლენის მართვა და

კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პრიორიტეტულ დონეებში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანიაში შექმნილია საკრედიტო კომიტეტი, რომელსაც ევალება წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მათი მინიმუმამდე დაიყვანა. საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრულია მისოს საკრედიტო სახელმძღვანელოში, რომელიც მოიცავს: სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს; საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს; სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს. საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ. კომიტეტისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეფუძნება ლიმიტებს, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი. საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. ამისათვის ის იყენებს შეფასების მოდელებს და განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის შემოწმების პროცედურებს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს. უზრუნველყოფის შეფასება ევალება კერძო შემფასებელს., რომელთანაც ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

საკრედიტო რისკების მართვის კუთხით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს დაბალრისკიანი საკრედიტო პორტფელი. ასევე, ეკონომიკური რეცესიებისა და სხვა მასობრივი დეფოლტის გამომწვევი ფაქტორების აქსელერაციისას თავიდან აირიდოს საკრედიტო რისკებით გამოწვეული დანაკარგები.

ზემოთ აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგია ის, რომ სმარტინვესტის ჯამური პორტფელი არის 692 ათასი ლარი და აქედან გაპრობლემებული არის 63 ათასი ლარი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელებს წააწყდება იმ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ფულადი ვალდებულების უზრუნველყოფისთვის ხელმისაწვდომი იყოს თანხები მათი დაფარვის დღისთვის. ლიკვიდურობის პოზიციას აკონტროლებს დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო.

კონკურენციის რისკი

საქართველოში საფინანსო სექტორში მაღალი კონკურენტული გარემოა შექმნილი. ეროვნული ბანკის 2017 წლის მონაცემებით, საფინანსო ბაზარზე ოპერირებდა 16 კომერციული ბანკი და 75 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ინტენსიურმა კონკურენციამ შესაძლოა ნეგატიური ეფექტი იქონიოს სმარტ ინვესტის საბაზრო წილის გაზრდაზე საკრედიტო პორტფელისა და ნასესხებ სახსრებში. კონკურენტმა ორგანიზაციებმა შესაძლოა მოიპოვონ წვდომა უცხოურ იაფ კაპიტალზე ან მომხმარებელს მიაწოდონ საფინანსო პროდუქტების უფრო დახვეწილი და ფართო ასორტიმენტი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენტული უპირატესობის დაკარგვა.

ინტენსიური კონკურენცია უარყოფითი გავლენას ახდენს კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავლის, საოპერაციო მოგების და წმინდა მოგების მარჟებზე, რაც საბოლოო ჯამში რისკის ქვეშ დააყენებს სმარტინვესტის კონკურენტუნარიანობას საფინანსო ბაზარზე და შეამცირებს კომპანიის მომგებიანობას.

AML რისკი

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაული დღითიდღე აქტუალური ხდება საერთაშორისო ფინანსურ სექტორში, განსაკუთრებით საქართველოს მსგავსი მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, რომელიც თანდათან მიმზიდველი ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის. არსებობს საფრთხე, რომ ფულადი სახსრების მოზიდვა განხორციელდეს პირისგან, რომელსაც ქონება წარმოემვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, ხოლო სესხის გაცემა, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრების ნაკლებ საფრთხეებთან, შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ტერორიზმთან დაკავშირებული პირების მიერ.

საქართველოს კანონის შესაბამისად „სმარტ ინვესტი“ წარმოადგენს მონიტორინგის განმახორციელებელ სუბიექტს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით და აანალიზებს, რომ აღნიშნული დანაშაულები წარმოადგენს საფრთხეს როგორც თავად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, აგრეთვე მთლიანი სექტორის სტაბილურობისთვის და შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, აღნიშნული პროცესების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარებას.

რესურსების ქმედითი და ეფექტური გადანაწილების მიზნით, „სმარტ ინვესტის“ მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა ემყარება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინაშე არსებულ რისკებს. რისკზე დამყარებული მიდგომის ადეკვატურად განხორციელებისათვის ხდება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული რისკების შეფასება და აღნიშნული რისკების მართვა. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ რისკების გადამეტებულად შეფასება იწვევს რესურსების არამიზანმიმართულ ხარჯვას, ხოლო არასათანადოდ შეფასება მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მოწვევლადს აქცევს მის წინაშე არსებული საფრთხეების მიმართ. სწორედ ამიტომ ორგანიზაციის მენეჯმენტმა უზრუნველყო მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება შესაბამისი მიმართულებით, რომელიც თავის მხრივ სავალდებულო წესით ეტაპობრივად ატარებს სასწავლო ტრენინგებს იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ ყველა თანამშრომელი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენის ხელშეწყობის პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ „სმარტ ინვესტის“ საქმიანობა გარდაიქმნება, ან მას დაემატება ახალი პროდუქტი/სერვისი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მოხდება აღნიშნული პროდუქტების რისკების გაანალიზება და შესაბამისი ზომების შემუშავება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის მინიმიზების კუთხით.

საგადასახადო რისკები

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც ეკონომიკის გარემო-ფაქტორების ცვლილებებთან საჭიროებს მორგებას, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო არასტაბილურობით გამოირჩევა, მომავალში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის რიგ ცვლილებებს რამაც შესაძლოა უაყოფიტი ეფექტი იქონიოს კომპანიის მდგრად განვითარებაზე.

ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

ფინანსური ანგარიშები მომზადდა საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია შეძლებს, გადაიხადოს თავისი სასესხო ვალდებულებები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სმარტ ინვესტის წმინდა საპროცენტო შემოსავალმა 2017 წელს 120 ათასი ლარი შეადგინა რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 300%-ით არის გაზდილი.

სმარტ ინვესტის საოპერაციო შემოსავლებმა 2017 წელს 46 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 26%-ით არის შემცირებული, მოცემული ნეგატიური ცვლილების განმარტებელი ძირითადი ფაქტორი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებული ზარალი 6 ათასი ლარი გახდა, რაც 2017 წლის მთლიანი შემოსავლის 4 % შეადგინა, მოცემული უარყოფითი ფაქტორი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის რყევებით არის გამოწვეული.

სმარტ ინვესტის საოპერაციო ხარჯები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 165%-ით გაიზარდა და 122 ათასი ლარი შეადგინა, საოპერაციო ხარჯების ზრდის ძირითადი წილი პერსონალის ხარჯებზე მოდის, რომელმაც თანხობრივი მოცულობით 54 ათასი ლარი შეადგინა, მარეგულირებლის მოთხოვნით 2017 წელს კომპანიამ აიყვანა ახალი თანამშრომელი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით, გარდა ამისა სმარტ ინვესტმა 2017 წელს შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა „loankeeper“-ი კომპანია „Dolphin Software“-ისგან.

წმინდა საოპერაციო შემოსავლების შემცირებისა და საოპერაციო ხარჯების ზრდის ნეგატიური ეფექტების ფონზე წმინდა მოგების მარჟამ 29% შეადგინა.

აქტივები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,345 ათასი ლარი შეადგინა და 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 818 ათასი ლარით გაიზარდა. აქტივების გაზრდის ძირითადი მიზეზი წმინდა სესხების 51% -ით გაზრდაა (თანხობრივი მოცულობით 235 ათასი ლარი) და 692 ათასი ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 2016 წელთან შედარებით 61% -ით შემცირდა (თანხობრივი მოცულობით 278 ათასი აშშ დოლარი) და 179 აშშ დოლარი შეადგინა. მოცემული მკვეთრი ცვლილება გამოწვეულია ე.წ. დედოლარიზაციის პოლიტიკის დანერგვის შედეგად ამოქმედებული რეგულაციებით, რომელთა საფუძველზეც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს აკრძალათ ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემა. ლიკვიდური აქტივები 113 ათასი ლარით გაიზარდა და 146 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ლიკვიდური აქტივებისა და წმინდა სესხების წილი სმარტ ინვესტის მთლიან აქტივებში 62%-ია, შესაბამისად ლიკვიდური აქტივების შეფარდებამ მთლიან ვალდებულებებთან 15% შეადგინა, ანალოგიური მაჩვენებელი 2016 წელს არის 19%.

აქტივების ხარისხი

2017 წლის მდგომარეობით, სმარტ ინვესტი მთლიანი სესხების 74%-ს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებს წარმოადგენს, რომელთა საშუალო LTV კოეფიციენტი 43 %-ია, მოკლევადიანი სესხების მოცულობა მთლიან სესხებში 191 ათას ლარს შეადგენს, რაც მთლიანი სესხების 26%-ია.

2017 წლის მონაცემებით, ვადაგადაცილებულმა სესხებმა (90+ დღე) მთლიანი სესხების 4% შეადგინა, რაც საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ 5%-იან მაჩვენებელზე დაბალია და ნათლად ასახავს სმარტ ინვესტის მთლიანი სესხების მაღალ ხარისხს და საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობას.

კომპანიის მიერ კლიენტებზე გაცემული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
კლიენტებზე სესხად გაცემული თანხები	680	454
დარიცხული მისაღები პროცენტები	23	6
ნაშთი წლის ბოლოს	703	460

გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების
რეზერვი

(11)

(3)

წმინდა გაცემული სესხები

692

457

ვალდებულებები

სმარტ ინვესტის ვალდებულებები 2017 წელს 84%-ით გაიზარდა 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში და თანხობრივი მოცულობით 980 ათასი ლარი შეადგინა. ვალდებულებების სტრუქტურაში ძირითადი წილი ფიზიკური პირებისგან ნასესხებ სახსრებზე მოდის 61% (თანხობრივი მოცულობით 599 ათასი ლარი). მთლიანი ვალდებულებების 58% უცხოურ ვალუტაში არის დენომინირებული (თანხობრივი მოცულობით 567 ათასი ლარი), უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობამ 2017 წელს 131 ათასი ლარი შეადგინა და 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 59%-ით შემცირდა, მოცემული მკვეთრი შემცირების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია, ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სასესხო პორტფელის შემცირება 170%-ით (თანხობრივი მოცულობა 280 ლარი) 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში, ხოლო მეორეს მხრივ, ვერ მოხერხდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების ეფექტიანი ჩანაცვლება ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ფინანსური რესურსებით, იქიდან გამომდინარე, რომ გაცვლითი კურსის მაღალი ფლუქტუაციიდან გამომდინარე ეროვნული ვალუტისადმი საოჯახო მეურნეობების ნდობის ხარისხი კვლავ დაბალია და დანაზოგების დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, შესაბამისად მოცემული სხვაობით გამოწვეული სავალუტო რისკების ჰეჯირებისთვის სმარტ ინვესტს გრძელვადიანი მიზანია ეფექტიანად (დაბალ პროცენტში მიღებული ფინანსური რესურსებით), ჩანაცვლოს უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები სახსრები, რათა მომავალში თავიდან აიცილოს ეროვნული ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

კომპანიის ნასესხები სახსრები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სესხები საფინანსო ინსტიტუტებისგან	381	-
სესხები ფიზიკური პირებისგან:		-
დაკავშირებული მხარეები	599	156
სულ	980	156

კომპანიის ნასესხები თანხები შედგება დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების და ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხისგან.

კომპანიის სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან არის მოკლევადიანი, რომელსაც ერიცხება საპროცენტო ხარჯი 11.5%-დან 12.5%-მდე წელიწადში. სესხი უზრუნველყოფილია დეპოზიტით, რომელიც განთავსებულია იგივე საფინანსო ინსტიტუტში, რომლის ვალუტა არის აშშ დოლარი და რომლის საპროცენტო სარგებელი შეადგენს 4.05%-დან 4.25%-მდე წელიწადში.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველსად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეთანხმებულია მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

2017	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	71	75	146
გაცემული სესხები	513	179	692
სულ ფინანსური აქტივები	584	254	838
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	413	567	980
სხვა ვალდებულებები	10	-	10
სულ ფინანსური ვალდებულებები	423	567	990
ღია საბალანსო პოზიცია	161	(313)	

2016	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2	31	33
გაცემული სესხები	-	457	457
სულ ფინანსური აქტივები	2	488	490
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	-	156	156
სხვა ვალდებულებები	13	-	13
სულ ფინანსური ვალდებულებები	13	156	169

ღია საბალანსო პოზიცია

(11)

332

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30 %-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

მოგება/(ზარალი)	დოლარის ეფექტი 2017		დოლარის ეფექტი 2016	
	ზრდა 30%	კლება 30%	ზრდა 30%	კლება 30%
	(94)	94	100	(100)

ლიკვიდობა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სმარტ ინვესტის ფული საბანკო ანგარიშებზე 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 77%-ით გაიზარდა და 146 ათასი ლარი შეადგინა, გარდა ამისა მოკლევადიანი სესხების მოცულობა და პორტფელის მაღალი ხარისხი გვამღევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სმარტ ინვესტი მაღალ ლიკვიდურია და შეუძლია სწრაფად და ეფექტიანად დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოკლევადიანი მოთხოვნები.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გაცხადებულ კაპიტალს, დაგროვილ ზარალს და ვალს. 2017 წლის მდგომარეობით სმარტ ინვესტის მთლიანმა კაპიტალმა 348 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,14% -ით არის შემცირებული, რაც გაუნაწილებელი მოგების შემცირებით არის გამოწვეული.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის

არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას.

დასკვნა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

შპს “სმარტ ინვესტი” – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი)

შპს “სმარტ ინვესტი”

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს სმარტ ინვესტიის მფლობელობა და მენეჯმენტს

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სმარტ ინვესტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა. თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ამ დასკვნის ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ამ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ და საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე IFRS-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას

განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრიბავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის შოთა თალავაძე.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო
მარტი 23, 2018



შპს მისო სმარტ ინვესტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	146	33
გაცემული სესხები, წმინდა	6	692	457
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული დეპოზიტები	6	453	-
ძირითადი საშუალებები	7	20	14
არამატერიალური აქტივები	8	21	22
საგადასახად აქტივები		5	-
სხვა აქტივები		2	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	9	6	1
სულ აქტივები		1,345	527
ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	10	980	156
მოგების გადასახადის ვალდებულება		8	6
სხვა ვალდებულებები		9	13
სულ ვალდებულებები		997	175
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		314	314
გაუნაწილებელი მოგება		34	38
სულ კაპიტალი		348	352
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,345	527

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

7-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

შპს მისო სმარტ ინვესტი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი			
გაცემული სესხები	11	195	31
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული დეპოზიტები	11	13	-
საპროცენტო ხარჯები			
ვალდებულებები ფიზიკური პირების წინაშე	11	(58)	(1)
ვალდებულებები ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	11	(30)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		120	30
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	6	(9)	(3)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		(9)	(3)
საკომისიო შემოსავალი / (ხარჯი)	12	13	4
საკურსო მოგება / (ზარალი)	13	(6)	46
შემოსავალი ჯარიმებიდან	14	39	12
არასაპროცენტო შემოსავალი		46	62
შრომის ანაზღაურება	15	(54)	(17)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(56)	(25)
ცვეთა და ამორტიზაცია	7;8	(9)	(2)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	17	6	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(9)	(2)
სულ საოპერაციო ხარჯები, წმინდა		(122)	(46)
მოგება გადასახადებამდე		35	43
მოგების გადასახადი	9	(4)	(5)
სულ სწული შემოსავალი		31	38

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

23 მარტი, 2018
თბილისი, საქართველო

7-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

შპს მისო სმარტ ინვესტი
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ
1 იანვარი 2016	-	-	-
კაპიტალში შენატანები	314	-	314
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	38	38
31 დეკემბერი 2016	314	38	352
კაპიტალში შენატანები	-	-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	31	31
გაცემული დივიდენდები	-	(35)	(35)
31 დეკემბერი 2017	314	34	348

მენეჯმენტის სახელით:

 დირექტორი

23 მარტი, 2018
 თბილისი, საქართველო

 მთავარი ბუღალტერი

March 23, 2018
 თბილისი, საქართველო

7-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

შპს მისო სმარტ ინვესტი
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება გადასახადებამდე	35	52
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	9	6
საპროცენტო შემოსავალი	(195)	(38)
საპროცენტო ხარჯი	58	1
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	9	4
წმინდა საკურსო შემოსავალი / (ზარალი)	6	46
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ვლილებამდე	(78)	71
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების მოძრაობა		
შემცირება / (ზრდა) გაცემულ სესხებში	(235)	(464)
ზრდა / (შემცირება) სხვა ვალდებულებებში	(4)	6
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტებამდე და გადასახადებამდე	(317)	(387)
მიღებული პროცენტები	192	32
გადახდილი პროცენტები	(78)	(1)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(203)	(356)
ფულადი ნაკადები სინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(10)	(16)
დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	(453)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4)	(22)
წმინდა ფულადი ნაკადები სინვესტიციო საქმიანობიდან	(467)	(38)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრები	1,894	152
კაპიტალის ზრდა	-	314
გადახდილი დვიდენდები	(35)	-
სესხების გადახდა	(1,081)	(9)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	778	457
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	108	63
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	33	-
საკურსო სვობის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	5	(30)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	146	33

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

23 მარტი, 2018
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

23 მარტი, 2018
 თბილისი, საქართველო

7-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს სმარტ ინვესტის (კომპანია) ფინანსური ანგარიშები 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად დირექტორის 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს სმარტ ინვესტი (კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართი არის #43 ალ. ყაზბეგის გამზ. ბინა #16, თბილისი, საქართველო.

კომპანიის მფლობელები არიან ქართლოსი ღვინიაშვილი (50%), ნათელა ასლამაზიშვილი (25%), ლევან შარვაძე (25%). კომპანიის ყველა მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე.

კომპანიის მმართველი ორგანო არის დირექტორი, კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას აგრეთვე მართავს კომპანიის დირექტორი.

კომპანია დაფუძნებული იქნა 2016 წლის 14 მარტს, როგორც სამომხმარებლო და სალომხმარებო სესხის ბიზნესი, კომპანიის პოლიტიკა არის სამომხმარებლო სესხის სალომხმარებო სესხთან წილის შენარჩუნება, როგორც 30% 70%-თან.

კომპანიას სათაო ოფისი აქვს თბილისიში, რომელიც მისი ერთადერთი ოფისია.

საანგარიშო ვალუტა

კომპანიის ოფიციალური ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.1044	2.7940

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

ამ პერიოდისათვის საშუალო საკურსო განაკვეთი
არის შემდეგი:

	2017	2016
1 USD/GEL	2.5086	2.3667
1 EUR/GEL	2.8322	2.6172

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველები

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა მოქმედი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (IFRS) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ. ისინი წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, დამრგვალებული ათასამდე, და მენეჯმენტის რწმენით, აღნიშნული ვალუტა უფრო სარგებლიანია აღნიშნული ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებისათვის და საუკეთესოდ ასახავს კომპანიის გარიგებების და საფუძვლად დადებული ღონისძიებების ეკონომიკურ არსს.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

შეფასების პრინციპები

გამოყენებული შეფასების პრინციპები არის შეძენის ფაქტობრივი ღირებულების საფუძველები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქვემოთ მოყვანილ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვაგვარად არის მითითებული.

მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი არის საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან პასივი აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებადია ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული

გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორ დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის. აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო პასივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რასაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია ფირმის პრესტიჟთან („გუდვილი“). გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავალის პუნქტისათვის არ არის დამახასიათებელი.

გადავადებული გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო პასივები დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შეძენის გადასახადების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ის ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

წარმოების, საიჯარო ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან ჯერ არ განსაზღვრული მიზნებისათვის მშენებლობის პროცესში მყოფი ქონება აისახება

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

შეძენის ფაქტობრივი ღირებულებით, აღიარებული მატერიალური ფასეულობის გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ფასი მოიცავს პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯებს, ადგილმდებარეობის მომზადებას, დამონტაჟების და აწყობის ხარჯებს, კვალიფიცირებადი აქტივების პროფესიულ მოსაკრებლებს, აგრეთვე სასესხო ხარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

ქონების და აღჭურვილობის კომპონენტის, რომელიც ცალკე აღირიცხება, შესაცვლელი ხარჯები კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტების საანგარიშო ღირებულებით. სხვა მომდევნო ხარჯი კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიშობა ამ ხარჯებისგან. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

საკუთრებაში არსებული მიწა არ ამორტიზირდება. ყველა სხვა აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, ხაზობრივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ქონების, ქარხნის და აღჭურვილობის ცვეთისათვის:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
კაპიტალური შეკეთება	5 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება 5 წლით.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით. კომპანიას ნასესხები აქვს თანხები თავისი მფლობელებისგან თავისი ძირითადი საქმიანობების დასაფინანსებლად.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება და მომდევნო შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, საწყისი აღიარებისას, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები, მოგების ან ზარალის, კრედიტორული და დებიტორული დავალიანების, დაფარვამდე ფლობადი ინვესტიციების, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების საშუალებით ან როგორც დერივატივები, შექმნილი, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები ეფექტურ ჰეჯში, როგორც შესაბამისია. კომპანია განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას პირველადი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული, მოგების ან ზარალის საშუალებით არა სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი აქტივების შემთხვევაში, ტრანზაქციის ხარჯები, რაც მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას.

ფინანსური აქტივების შეძენა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივების მიწოდებას დროის იმ პერიოდში, რაც დადგენილია დებულებით ან კონვენციით ბაზარზე (გარიგების სტანდარული პროცედურებით ვაჭრობა) აღიარებულია ვაჭრობის დღეს, ანუ იმ თარიღში, როდესაც კომპანია ახორციელებს აქტივების შეძენას ან გაყიდვას.

მომდევნო აღრიცხვა

ფინანსური აქტივების მომდევნო აღრიცხვა დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის საშუალებით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგების ან ზარალის საშუალებით მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რასაც ფლობს ვაჭრობისათვის და ფინანსურ აქტივებს, რაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულებით საწყისი აღიარების საფუძველზე მოგების ან ზარალის საშუალებით. ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც აქტივები, რომელსაც კომპანია ფლობს ვაჭრობისათვის თუ ისინი შეძენილია ახლო ვადაში გაყიდვის ან ხელახალი შეძენისათვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები მოგება-ზარალის საშუალებით შეტანილია ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში სამართლიანი ღირებულებით წმინდა ცვლილებებით სამართლიან ღირებულებაში, რაც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური შემოსავალი (დადებითი წმინდა ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში) ან ფინანსური ხარჯები (უარყოფითი წმინდა ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში) მოგების ან ზარალის შესახებ განაცხადში. კომპანიას არ განუსაზღვრია რაიმე სამართლიანი ღირებულებით შეფასებადი ფინანსური აქტივები საწყისი აღიარებისას მოგების ან ზარალის საშუალებით.

სესხები და დებიტორული მოთხოვნები

ეს კატეგორია ყველაზე მეტად შეესაბამება კომპანიას. კრედიტები და დებიტორული დავალიანებები არის არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახდელებით, რომლებიც არაკოტირებულია აქტიურ ბაზარზე. საწყისი შეფასებისას, აღნიშნული ფინანსური აქტივები შესაბამისად შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გაანგარიშდება ნებისმიერი ფასდათმობის ან შეძენაზე პრემიის გათვალისწინებით და გადასახადების და ხარჯების გათვალისწინებით, რაც EIR -ს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. EIR ამორტიზაცია შედის ფინანსურ შემოსავალში, რაც მოცემულია მოგება-ზარალის შესახებ განაცხადში. ზარალი, რაც წარმოშობილია გაუფასურებისგან, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში სასესხო ფინანსურ ხარჯებში და გაყიდვების ხარჯებში ან დებიტორული დავალიანებების საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა სხვა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. გაუფასურება არსებობს, თუ ერთ ან მეტ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ (მიყენებული „ზარალის დადგომის შემთხვევა“), აქვს გავლენა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო დაგეგმილ ფულად ნაკადებზე, რაც სანდოდ შეიძლება შეფასდეს. გაუფასურების ნიშანი შესაძლოა მოიცავდეს იმის მითითებას, რომ დებიტორები ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, ადგილი აქვს ძირითადი თანხის ან სარგებლის გადახდის დარღვევას ან გადაუხდელობას, იმის ალბათობა რომ ისინი შესაძლოა გაკოტრდნენ ან განიცადონ სხვა ფინანსური რეორგანიზაცია და სადაც თვალსაჩინო მონაცემები მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან შემცირებას სამომავლო გეგმიურ ფულად ნაკადებში, როგორცაა ცვლილებები დავალიანებებში ან ეკონომიკური პირობები, რაც შეესაბამება ვალდებულებების შეუსრულებლობას.

ამორტიზებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, კომპანია უპირველესად აფასებს იმას, გაუფასურება არსებობს ინდივიდუალურად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკე არის მნიშვნელოვანი, თუ ერთობლივად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ არსებობს გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, იმის მიუხედავად, იქნება ის მნიშვნელოვანი თუ არა, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია გაუფასურებაზე და

რომლისთვისაც გაუფასურების ზარალი არის, ან განაგრძობს იყოს აღიარებული, არ შედის გაუფასურების ერთობლივ შეფასებაში.

გაუფასურების ზარალის თანხა, რომელიც ფასდება, როგორც განსხვავება აქტივების საბალანსო მაჩვენებლებსა და გეგმიური სამომავლო ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო გეგმიური საკრედიტო ზარალებისა, რომლებიც ჯერ არ დამდგარა). სამომავლო გეგმიური ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო მაჩვენებელი შემცირებულია შეფასებული რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას შემცირებულ საბალანსო მაჩვენებელზე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გამოყენებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის გაუფასურების ზარალის გაანგარიშების მიზნით. შემოსავალი პროცენტებიდან აღირიცხება, როგორც ფინანსური შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

სესხები, თანხმებ და დანამატებთან ერთად, ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს სამომავლო ამოღების რეალური პერსპექტივა და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებული იქნა ან გადაეცა კომპანიას. თუ, მომდევნო წელს, შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის გამო, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება შეფასებადი რეზერვის ანგარიშის რეგულირებით. თუ ჩამოწერა მოგვიანებით ამოღებულია, ამონაღები კრედიტდება ფინანსურ ხარჯებად მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, კლასიფიცირებულია, საწყისი აღიარების ეტაპზე, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალის, სესხების და ნასესხებების, გადასახდელების საშუალებით, ან როგორც დერივატივები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ჰეჯირებული ინსტრუმენტები ეფექტურ ჰეჯში, როგორც შესაბამისია.

ყველა ფინანსური ვალდებულება საწყის ეტაპზე აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და, სესხის და ნასესხებების და გადასახდელების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებული გარიგების ხარჯების გარეშე.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა გადასახდელებს, სესხებს და ნასესხებებს, ბანკის სესხების ჩათვლით.

შემდგომი აღიარება

ფინანსური ვალდებულებების აღიარება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, შემდეგნაირად:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგების ან ზარალის საშუალებით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები მოგების ან ზარალის საშუალებით მოიცავს ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც განკუთვნილია ვაჭრობისათვის და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც საწყისი აღიარების დროს მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას მოგების ან ზარალის საშუალებით.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც განსაზღვრული ვაჭრობისათვის, თუ ისინი შეძენილია ახლო დროში გაყიდვის მიზნით.

ნასესხები თანხები

ეს არის კომპანიისათვის ყველაზე მეტად შესაბამისი კატეგორია. საწყისი აღიარების შემდეგ, სარგებლიანი სესხები და კრედიტები, შესაბამისად შეფასებულია საამორტიზაციო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოგებები და ზარალები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც პასივები ჩამოწერილია აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის საამორტიზაციო პროცესების საშუალებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება ნებისმიერი ფასდათმობის ან შეძენაზე პრემიის და მოსაკრებლების ან ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია შედის მოგება-ზარალის ანგარიშის დაფინანსების ხარჯებში.

ეს კატეგორია ზოგადად ვრცელდება სარგებლიან სესხებს და კრედიტებზე.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და პასივები ექვემდებარება ურთიერთჩათვლას, ხოლო წმინდა ოდენობა კონსოლიდირებულ ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც

ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა, წარმოებულ იქნას ურთიერთჩათვლა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფული, მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში და ფული მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, რომლებსაც აქვთ ფასის შეცვლის მცირედი რისკი.

განთავსებული დეპოზიტები

განთავსებული დეპოზიტები შედგება ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისგან. კომპანიას აქვს განთავსებული დეპოზიტები მისი ბანკისგან მიღებული სესხების გარანტად, მსგავს დეპოზიტებზე კომპანიას ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებებისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის ხდება შეფასება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შეედარება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანმხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე. გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

სესხების შესაძლო დანაკარგების ანარიცხები

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის გაცემულ სესხებს გაუფასურების თვალსაზრისით. გაუფასურების დანაკარგები განისაზღვრება მიყენებული გაუფასურების დანარგების აღიარებისათვის მის პორტფელში. გადაწყვეტილება გამოყენებულია რეზერვში ანარიცხების დასადგენად კრედიტების გაუფასურების გამო. კომპანიას აქვს თავისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგები, ეს მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები რეგულარულად გადიან მონიტორინგს და გადაიხედებიან.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას.

გადასახადები. გადადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები უტილიზირებული იქნება. მნიშვნელოვანი მენეჯმენტის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის. კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დამველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე. თუმცა მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან

- შესწორება IAS 12 (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, აკონკრეტებს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებას, რაც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სასესხო ვალდებულებას.
- შესწორება IAS 7 სახელწოდებით ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სრულყოფს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს პირის ფინანსური საქმიანობების შესახებ.
- შესწორება (გამოცემული 2016 წლის დეკემბერში) IFRS 12 - შესწორება რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან, განმარტავს სტანდარტის მოქმედების ფარგლებს, და აზუსტებს სტანდარტის გამოყენების წესს.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და

რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

- o IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.

- o ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9-ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.

- o ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.

- o ხეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით, ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არაფინანსური რისკების საფრთხეების ჰეჯირებისას.

- o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან.

მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 9 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც

მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- IFRS 16 ქირავნობა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს, რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. დამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირებისა ან ფინანსებისა, IFRS 16-ის მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმობედისგან, IAS 17-სგან. მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 16 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- ახალი სტანდარტი ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან. ფასს 17 მოითხოვს სადაზღვევო კონტრაქტების შეფასებას მიმდინარე შესრულების ღირებულებით და უფრო ერთგვაროვან შეფასებას და პრეზენტაციას ყველა სადაზღვევო კონტრაქტის. ეს

მოთხოვნები არის იმისთვის, რომ მიღწეული იყოს უფრო თანმიმდევრული, პრიციპებზე დამოკიდებული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტების.

- IFRS 2 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება (გამოცემული 2016 წლის ივნისში) - ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის.

ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადანაგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტიულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილება სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების პოტენციურ გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ის ცვლის 57 მუხლს და აცხადებს, რომ საწარმომ უნდა დააკლასიფიციროს აქტივი, როგორც საინვესტიციო ქონება ან შეწყვიტოს აქტივის საინვესტიო ქონებად კლასიფიცირება, მხოლოდ მაშინ, როდესაც არის მტკიცებულება მოხმარების ცვლილების. ქონების მოხმარების ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც აქტივი აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების დეფინიციას. მენეჯმენტის მიზნის ცვლილება გამოიყენოს აქტივი სხვა დანიშნულებით არ ნიშნავს აქტივის იმის მტკიცებულებას, რომ აქტივის მოხმარების მიზანი შეცვლილია.

- ფასს 1 სტანდარტების პირველადი გამოყენება (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. აუქმებს მოკლევადიან გამონაკლისს E3-E7 მუხლებში ფასს 1 სტანდარტისთვის

- ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტი განმარტავს, რომ ინვესტიცია ისეთ მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში რომელიც წარმოადგენს სარისკო კაპიტალის ორგანიზაციას, ან სხვა საპაიო საწარმოს, შესაძლოა აღირცხული იყოს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალიდან, საწყისი აღიარების დროს.

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	71	2
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	75	31
სულ	146	33

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. გაცემული სესხები

კომპანიის მიერ კლიენტებზე გაცემული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
კლიენტებზე სესხად გაცემული თანხები	680	454
დარიცხული მისაღები პროცენტები	23	6
ნაშთი წლის ბოლოს	703	460
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(11)	(3)
წმინდა გაცემული სესხები	692	457

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სალომბარდე სესხები	512	340
სამომხმარებლო სესხები	191	120
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(11)	(3)

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

სულ გაცემული სესხები	692	457
----------------------	-----	-----

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
პერიოდის დასაწყისში	(3)	-
წლის დარიცხვა / ამობრუნება	(8)	(3)
პერიოდის ბოლოს	(11)	(3)
ინდივიდუალურად დარეზერვებული	-	-
კოლექტიურად დარეზერვებული	(11)	(3)
	(11)	(3)

კლიენტებზე გაცემული სესხების კრედიტუნარიანობა

2017	სალომზარდე სესხები	სამომზმარებლო სესხები	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული	508	127	635
ვადაგადაცილებული მაგრამ არაგაუფასურებული			
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	-	1	1
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
180 მეტი დღით ვადაგადაცილებული	4	-	4
ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები:			
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
180 მეტი დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
კოლექტიურად გაუფასურებული სესხები:			
30-90 დღით ვადაგადაცილებული	-	39	39
91-180 დღით ვადაგადაცილებული	-	14	14
180 მეტი დღით ვადაგადაცილებული	-	10	10
	512	191	703
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	-	(11)	(11)
სულ გაცემული სესხები	512	180	692

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

2016	სალომზარდე სესხები	სამომხმარებლო სესხები	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული	317	109	426
ვადაგადაცილებული მაგრამ არაგაუფასურებული			
30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული	7	8	15
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები:			
31-180 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
კოლექტიურად გაუფასურებული სესხები:			
30-90 დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
91-180 დღით ვადაგადაცილებული	16	3	19
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-	-	-
	340	120	460
გამოკლებული გაუფასურების რეზერვი	(3)	-	(3)
სულ გაცემული სესხები	337	120	457

უზრუნველყოფა და სესხების სხვა დამატებითი გაძლიერება

2017	Mortgage loan	Consumer Loans	Total
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	-
სესხი რომელიც უზრუნველყოფილია:			
უძრავი ქონებით	512	-	512
დეპოზიტით	-	7	7
მოდრავი ქონებით	-	12	12
თავდებობით	-	172	172
	512	191	703
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-	(11)	(11)
სულ გაცემული სესხები	512	180	692

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

2016	Mortgage loan	Consumer Loans	Total
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	-
სესხი რომელიც უზრუნველყოფილია: უძრავი ქონებით	340	-	340
თავდებობით	-	120	120
	340	120	460
გამოკლებული: შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(3)	-	(3)
სულ გაცემული სესხები	337	120	457

7. ძირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	ოფისის აღჭურვილობები	ავტო და სხვა ინვეტარი	კაპიტალური შეკეთებები	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
მატება	9	5	2	16
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	5	2	16
მატება	5	-	5	10
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14	5	7	26
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
წლის ცვეთის დარიცხვა	(1)	(1)	-	(2)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1)	(1)	-	(2)
წლის ცვეთის დარიცხვა	(2)	(1)	(1)	(4)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3)	(2)	(1)	(5)
წმინდა ღირებულება				
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8	4	2	14
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11	3	6	20

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

8. არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	საოპერაციო პროგრამა	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
მატება	22	22
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22	22
მატება	4	4
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26	26
<i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>		
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის დარიცხული ამორტიზაცია	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
წლის დარიცხული ამორტიზაცია	(5)	(5)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(5)	(5)
<i>წმინდა ღირებულება</i>		
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22	22
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21	21

9. მოგების გადასახადი

	2017	2016
გადავადებული საგადასახადო სარგებელი დროებითი სხვაობების დარიცხვით და ამობრუნებით	5	1
მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა	(8)	(6)
სულ მოგების გადასახადის (დარიცხვა) / სარგებელი	(3)	(5)
	2017	2016
ფინანსური მოგება / (ზარალი) გადასახადებამდე	(35)	(43)
მოგების გადასახადის დარიცხვა / (სარგებელი) 15%-იანი განაკვეთით	(5)	(6)
დაუბეგრავი შემოსავალი	1	-
არაგამოქვითვადი ხარჯები	7	4
ცვლილება ანარიცხებში	(6)	(3)
სულ მოგების გადასახადის (დარიცხვა) / სარგებელი	(3)	(5)

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

10. ნასესხები სახსრები

კომპანიის ნასესხები სახსრები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სესხები საფინანსო ინსტიტუტებისგან	381	-
სესხები ფიზიკური პირებისგან:		
დაკავშირებული მხარეები	599	156
სულ	980	156

ნასესხები საშუალებების მიმდინარე გრძელვადიანი წილი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	მიმდინარე	გრძელვადიანი	მიმდინარე	გრძელვადიანი
სესხები	968	-	156	-
დარიცხული პროცენტები	12	-	-	-
სულ	980	-	156	-

კომპანიის ნასესხები თანხები შედგება დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების და ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხისგან.

კომპანიის სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან არის მოკლევადიანი რომელსაც ერიცხება საპროცენტო ხარჯი 11.5%-დან 12.5%-მდე წელიწადში. სესხი უზრუნველყოფილია დეპოზიტით რომელიც განთავსებულია იგივე საფინანსო ინსტიტუტში, რომლის ვალუტა არის აშშ დოლარი და რომლის საპროცენტო სარგებელი შეადგენს 4.05%-დან 4.25%-მდე წელიწადში.

11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შედგება:	2017	2016
ფინანსური აქტივების საპროცენტო სარგებელი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით:		
გაცემული სესხები	195	31
დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	13	-
სულ	208	31

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

საპროცენტო ხარჯი შედგება:	2017	2016
ფინანსურ ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯი		
აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით:		
სესხები ფიზიკური პირებისგან	(58)	(1)
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	(30)	-
სულ	(88)	(1)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	120	30

12. წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი)

	2017	2016
საკომისიო შემოსავალი სესხის გაცემაზე	9	3
საკომისიო შემოსავალი სესხის წინსწრებით დაფარვაზე	6	1
საკომისიო ხარჯი საოპერაციო საქმიანობიდან	(2)	-
სულ საკომისიო შემოსავალი	13	4

13. შემოსავალი უცხოური ვალუტიდან, წმინდა

	2017	2016
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(7)	(1)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	1	47
სულ	(6)	46

14. შემოსავალი ჯარიმებიდან

გაცემულ სესხებზე კომპანია მომხმარებელს არიცხავს ჯარიმას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ჯარიმის დარიცხვა ხდება კომპანიის შიდა პოლიტიკის შესაბამისად რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დარიცხულ პროცენტს და განისაზღვრება კომპანიის მარეგულირებელი ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

15. შრომის ანაზღაურება

	2017	2016
სრულ განაკვეთზე მომუშავეთა ანაზღაურება	(50)	(17)
ბონუსები	(3)	-
არასრულ განაკვეთზე მომუშავეთა ანაზღაურება	(1)	-
სულ	(54)	(17)

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
იჯარის ხარჯი	(18)	(13)
საკონსულტაციო ხარჯი	(11)	-
აუდიტის ხარჯი	(7)	(6)
კრედიტ ინფოს მომსახურების ხარჯი	(7)	-
სხვა საექსპლუატაციო ხარჯი	(1)	(3)
კომპიუტერული და პროგრამული უზენველყოფის ხარჯი	(6)	-
სარეკლამო ხარჯი	(2)	(1)
თანამშრომელთა აყვანის ხარჯი	(2)	-
საფოსტო ხარჯი	(1)	(1)
კომუნალური ხარჯი	(1)	(1)
სულ	(56)	(25)

17. სხვა საოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

	2017	2016
შემოსავალი საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან	6	-
სულ	6	-

	2017	2016
სესხის ძირის ჩამოწერა	(6)	-
სხვა წვრილმანი ხარჯები	(3)	(2)
სულ	(9)	(2)

ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიას ემუქრება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკი მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	2017	2016
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროს ნაშთის გარდა)	146	33
გაცემული სესხები	692	457
ნასესხები თანხები	980	156
სხვა ვალდებულებები	10	13

18. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

2017	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	71	75	146
გაცემული სესხები	513	179	692
სულ ფინანსური აქტივები	584	254	838
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	413	567	980
სხვა ვალდებულებები	10	-	10
სულ ფინანსური ვალდებულებები	423	567	990
ღია საბალანსო პოზიცია	161	(313)	

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

2016	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	2	31	33
გაცემული სესხები	-	457	457
სულ ფინანსური აქტივები	2	488	490
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	-	156	156
სხვა ვალდებულებები	13	-	13
სულ ფინანსური ვალდებულებები	13	156	169
ღია საბალანსო პოზიცია	(11)	332	

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას 30%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30 %-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

	დოლარი ეფექტი 2017		დოლარის ეფექტი 2016	
	ზრდა 30%	კლება 30%	ზრდა 30%	კლება 30%
მოგება/(ზარალი)	(94)	94	100	(100)

19. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

20. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს, სადაც ჩართულია საკრედიტო კომიტეტი, აგრეთვე იგი მონიტორინგს უწევს გაცემულ სესხებს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუუნარობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროში არსებული ნაღდი ფულის გარდა)	146	33
გაცემული სესხები, წმინდა	692	457
	838	490

21. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა. ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირი თანხის ფულად ნაკადებს.

2017	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	211	492	-	703
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	211	492	-	703
ფული და ფულის ექვივალენტები	146	-	-	146
სულ ფინანსური აქტივები	357	492	-	849
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები თანხები	980	-	-	980
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	980	-	-	980
სხვა ვალდებულებები	10	-	-	10
სულ ფინანსური ვალდებულებები	990	-	-	990
ლიკვიდურობის გარღვევა	(633)	492	-	
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	(633)	(141)	(141)	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	(769)	492	-	
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	(769)	(277)	(277)	

2016	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	107	269	84	460
სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები	107	269	84	460
ფული და ფულის ექვივალენტები	33	-	-	33
სულ ფინანსური აქტივები	140	269	84	493
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	156	-	-	156
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	156	-	-	156
სხვა ვალდებულებები	13	-	-	13
სულ ფინანსური ვალდებულებები	169	-	-	169

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

ლიკვიდურობის გარღვევა	(29)	269	84
საერთო ლიკვიდურობის გარღვევა	(29)	240	324
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის გარღვევა	(49)	269	84
საპროცენტო განაკვეთის ცვლისადმი მგრძნობელობის საერთო გარღვევა	(49)	220	304

22. კაპიტალური რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს გამოცემულ კაპიტალს, დაგროვილ ზარალს და ვალს.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას, ახალი აქციების გამოცემას.

23. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, ძირითადი მენეჯმენტი, კომპანიის სხვა მფლობელების საკუთრებაში არსებული სხვა კომპანიები. შემენა და მიყიდვა დაკავშირებული მხარეებიდან და მათზე ხორციელდება იმ პირობების ექვივალენტი პირობებით, რაც უპირატესია დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ ტრანზაქციებში. კომპანიას არ აღურიცხია დებიტორული დავალიანებების გაუფასურება, იმ თანხებთან დაკავშირებით, რასაც დაკავშირებული მხარეები ფლობენ. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს დაკავშირებული მხარის ფინანსური მდგომარეობის და იმ ბაზრების გამოკვლევით, სადაც ფუნქციონირებს დაკავშირებული მხარე.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

შპს მისო სმარტ ინვესტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ათას ქართულ ლარში)

2017		2016		
ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად
საპროცენტო ხარჯები	მფლობელები და მფლობელთა ნათესავები (58)	(88)	(1)	(1)

2017		2016		
დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	
მენეჯმენტის კომპენსაცია:	(16)	(54)	(9)	(17)
თანამშრომელთა სარგებელი	(3)		(9)	

დაკავშირებული მხარეების ბალანსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2017			31 დეკემბერი 2016	
ურთიერთობა	დაკავშირებული მხარის ბალანსი	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად	დაკავშირებული მხარის ბალანსი	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშის თანახმად
ნასესხები				
საშუალებები, სულ	599	980	156	156
მესაკუთრეები და მათი ნათესავები	599	-	156	-

24. სახელმეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღნიშნულია კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს, მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე არსებითი გავლენა ექნება.

25. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშები მომზადდა საქმიანობის უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია შეძლებს, გადაიხადოს თავისი სასესხო ვალდებულებები. კომპანია მუშაობს მოგებაზე და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია გააგრძელებს მოგებაზე მუშაობას. წინა წელთან შედარებით კომპანიის საოპერაციო საქმიანობა გაუმჯობესებულია და ამ ანგარიშგებამდე არსებული ინფორმაციით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას შეექმნება ფუნქციონირების საფრთხე.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ გამოსცა დივიდენდი 30 ათასი ლარის ოდენობით. რამდენიმე ვადაგადაცდილებული სესხი ჩაიხურა, რომლის ჯამურმა თანხამაც შეადგინა 19 ათასი ლარი. სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც აქ უნდა იყოს აღნიშნული.